სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41438677004315

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

უძრავი ქონების ნასყიდობა და იპოთეკის გაუქმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150711148

რეგისტრაციის თარიღი

06.07.2015 წ

ნოტარიუსი: ოთარ ზოიძე
მისამართი: მარჯანიშვილის ქ. N21, IV სართული, 0102 ქ. თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 295-44-10

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი
უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის გაუქმების შესახებ

ორი ათას თხუთმეტი წლის ექვს ივლისს მე, ოთარ ზოიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №21, მე-4 სართული, მომმართეს შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირებმა:

1) ბატონმა **ჯემალ წურწუმიამ** (დაბადებული 05.06.1963 წ. პირადი №65002005500, რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: გულრიფში, სოფელი ვარჩე, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა №57ა, კორპუსი 2, ბინა №7) და

2) ბატონმა **ვახტანგ გამრეკელმა** (დაბადებული 04.02.1970 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №193, პირადი №01001024798).

მე ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ჯემალ წურწუმიამ განაცხადა, რომ არის **შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის“** (რეგისტრირებული 17/08/2004 წ. სახელმწიფო რეგისტრაციის №5ა/4-4187, საიდენტიფიკაციო კოდი №205037645, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №27-35) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

ვახტანგ გამრეკელმა განაცხადა, რომ არის **შპს „ფენიქსის“** (რეგისტრირებული 30.01.2010 წ. საიდენტიფიკაციო კოდი №404852931, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №193, ბინა №6) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით.

მხარეებმა განაცხადეს, რომ სურთ დადონ უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის გაუქმების ხელშეკრულება.

მათ მოითხოვეს შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (სანოტარო წესით დამოწმება) ჩემს მიერ.

მე მხარეებს განვუმარტე ხელშეკრულების დადების სამართლებრივი შედეგები, მათ შორის, საგადასახადო სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

„მუხლი 1. მხარეების შესახებ

1. წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) გამყიდველი:

შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი“ (რეგისტრირებული 17/08/2004 წ. სახელმწიფო რეგისტრაციის №5ა/4-4187, საიდენტიფიკაციო კოდი №205037645, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისის ვაკის რაიონში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №27-35).

ბ) მყიდველი:

შპს „ფენიქსი“ (რეგისტრირებული 30.01.2010 წ. საიდენტიფიკაციო კოდი №404852931, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №193, ბინა №6).

2. გამყიდველს წარმოადგენს მისი დირექტორი **ჯემალ წურწუმია** (დაბადებული 05.06.1963 წ. პირადი №65002005500, რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: გულრიფში, სოფელი ვარჩე, ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის ქუჩა №57ა, კორპუსი 2, ბინა №7) და მისი უფლებამოსილება უნაკლოა, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15060256, 07/04/2015 17:05:22).

ბ) შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის“ წესდება (დამოწმებული 04.08.2004 წ. ნოტარიუს ნ. მასხულიას მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №1-6822);

გ) სანოტარო აქტი შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის“ პარტნიორთა კრების შესახებ დამოწმებული 18.05.2015 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №150488696).

2. მყიდველს წარმოადგენს მისი დირექტორი **ვახტანგ გამრეკელი** (დაბადებული 04.02.1970 წ. რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №193, პირადი №01001024798) და მისი უფლებამოსილება უნაკლოა, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით:

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ფენიქსის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15044090, 26/02/2015 18:06:36).

ბ) სანოტარო აქტი _ შპს „ფენიქსის“ წესდება (დამოწმებული 21.01.2010 წ. ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100043204)

გ) შპს „ფენიქსის“ პარტნიორთა კრების ოქმი (18.05.2015 წ.) _ ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 18.05.2015 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №150499252).

მუხლი 2. მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ

1. მხარეები აცხადებენ, რომ ერთმანეთს შორის არსებობს სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოშობილია შემდეგი ხელშეკრულების საფუძველზე:

სანოტარო აქტი უძრავი ქონების წინარე ნასყიდობისა და იპოთეკის დადგენის შესახებ (დამოწმებული 18.05.2015 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №150499671) (შემდგომში მოხსენიებული როგორც „წინარე ხელშეკრულება“).

2. ამ მუხლიწ წინა პუნქტში მითითებული წინარე ხელშეკრულების საფუძველზე:

ა) გამყიდველმა იკისრა მყიდველისათვის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) მიყიდვის ვალდებულება, ხოლო მყიდველმა აიღო ამ მიწის ნაკვეთის ყიდვის ვალდებულება;

ბ) მყიდველმა გამყიდველს მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) ნასყიდობის ფასის ანგარიშში გადაუხადა ავანსი 450000.00 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

გ) მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილია ასანაზღაურებლად მყიდველმა იკისრა ვალდებულება, მიწის

ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) ააშენოს შენობა-ნაგებობა და გამყიდველს სრულ და შეუზღუდავ საკუთრებაში გადასცეს ამ შენობა-ნაგებობაში განთავსებული შეთანხმებული ოდენობისა და ხარისხის ფართები;

დ) გამყიდველმა მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) გაათავისუფლა სს „თიბისი ბანკის“ იპოთეკისაგან და შენობა-ნაგებობებისაგან;

ე) მყიდველის უფლებების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075); მითითებული იპოთეკა ძალმოსილია წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

2. ამ მუხლის წინა პუნქტის „დ-ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი ფაქტები დასტურდება შემდეგი დოკუმენტით:

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია №882015372742 - 03/07/2015 14:49:51, მომზადების თარიღი: 03/07/2015 16:36:37, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075 (საკადასტრო გეგმა, მომზადების თარიღი: 03.07.2015 წ.).

მუხლი 3. გარიგების დადების საფუძვლის შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო მხარეთა შორის მოქმედი შემდეგი ხელშეკრულების საფუძველზე:

სანოტარო აქტი უძრავი ქონების წინარე ნასყიდობისა და იპოთეკის დადგენის შესახებ (დამოწმებული 18.05.2015 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №150499671).

2. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეები ასრულებენ ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული ხელშეკრულებით დადგენილ ვადადამდგარ ვალდებულებებს. შესაბამისად, შეუსრულებელი რჩება მყიდველის მიერ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) შენობა-ნაგებობის აშენებისა და ამ შენობა-ნაგებობის ნაწილის_ ფართების გამყიდველისათვის გადაცემის/ფართების მიღების ვალდებულება, რომლის შესრულების ვადაც არ არის დამდგარი წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის.

მუხლი 4. მიწის ნაკვეთის ნასყიდობისა და მიწის ნაკვეთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

1. გამყიდველმა მყიდველს წინარე ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების ფარგლებში მიჰყიდა, ხოლო მყიდველმა იყიდა მიწის ნაკვეთი (შემდგომში მოხსენიებული როგორც „მიწის ნაკვეთი“ ან როგორც „ნასყიდობის საგანი“), რომლის მახასიათებლებია:

- ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო;
- დაზუსტებული ფართობი: 8372.00 კვ. მ.
- ნაკვეთის წინა ნომერი: 01.11.12.018.028;
- მისამართი: ქ. თბილისი, ვეკუას ქუჩა №1 (ნაკვეთი 18/075).
- საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075

2. წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის:

ა) ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთი არის გამყიდველის საკუთრება, რაც დასტურდება შემდეგი დოკუმენტით:

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია №882015372742 - 03/07/2015 14:49:51, მომზადების თარიღი: 03/07/2015 16:36:37, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075 (საკადასტრო გეგმა, მომზადების თარიღი: 03.07.2015 წ.).

ბ) მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით თვით მყიდველის სასარგებლოდ; შესაბამისად, მყიდველისათვის ცნობილია ამ იპოთეკასთან დაკავშირებული ყველა გარემოება.

გ) მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებულია ვალდებულებები, რომელიც უნდა შეასრულოს მყიდველმა გამყიდველის სასარგებლოდ;

დ) მიწის ნაკვეთზე არ არსებობს შენობა-ნაგებობები.

ე) მიწის ნაკვეთის მიმართ არ არის დადგენილი რაიმე აკრძალვა და შეზღუდვა, მიწის ნაკვეთი არ არის დატვირთული რაიმე ვალდებულებებითა და იპოთეკით, გარდა „ბ-გ“ ქვეპუნქტებში მითითებული იპოთეკისა და ვალდებულებებისა, არ არის ყადაღადადებული.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ-ე“ ქვეპუნქტებში მითითებული ფაქტები დასტურდება ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული დოკუმენტით.

მუხლი 5. მიწის ნაკვეთის ფასის განსაზღვრისა და მისი გადახდის წესის შესახებ

1. მიწის ნაკვეთის ფასი გადახდილ იქნება შერეული ფორმით _ ფულითა და ნატურით, კერძოდ:

1) წინარე ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველმა გამყიდველს ნასყიდობის ფასის ანგარიშში გამყიდველს ავანსად გადაუხადა 450000.00 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარი.

2) მყიდველი ვალდებულია, მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) ააშენოს შენობა-ნაგებობა და გამყიდველს სრულ და შეუზღუდავ საკუთრებაში გადასცეს ამ შენობა-ნაგებობაში განთავსებული შემდეგი ფართები:

ა) პირველ სართულზე განთავსებული კომერციული ფართი _ 450.00 (ოთხას ორმოცდაათი) კვ. მ. „კარკასულ“ მდგომარეობაში.

ბ) მეორე სართულზე განთავსებული ფართი _ 400.00 (ოთხასი) კვ. მ. „კარკასულ“ მდგომარეობაში; ამ ფართის ბინებად/ოფისებად დაყოფის შესახებ მხარეები შეთანხმდებიან დამატებით;

გ) სხვა სართულებზე განთავსებული ფართი _ 2000.00 (ორი ათასი) კვ. მ. „კარკასულ“ მდგომარეობაში; ამ ფართის ბინებად დაყოფის შესახებ მხარეები შეთანხმდებიან დამატებით;

დ) ბინა, რომლის ფართობი იქნება 94.40 კვ. მ. (საცხოვრებელი ფართობი) + 40.20 კვ. მ. (აივნით), საშუალო ხარისხის რემონტით; ბინის სართულზე განთავსების შესახებ მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

ე) 10 ერთეული ავტოსადგომი, განთავსებული საერთო ავტოსადგომში.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ „კარკასულ მდგომარეობაში“ იგულისხმება ფართის მიყვანა შემდეგ მდგომარეობამდე:

ა) გარე ფასადი დასრულებული სახით, ორმაგი მინაპაკეტის კარ-ფანჯრები დამონტაჟებული;

ბ) სადარბაზო დასრულებული,

გ) წყლისა და კანალიზაციის ცენტრალური დგარები დამონტაჟებული,

დ) სადარბაზოში დამონტაჟებული ცენტრალური ელექტროგაყვანილობა – მიყვანილი თითოეულ ინდივიდუალურ ფართამდე.

ე) სახურავი გადახურული პროექტის მიხედვით, ტერიტორია კეთილმოწყობილი პროექტის მიხედვით.

ვ) ლიფტი დამონტაჟებული.

ზ) ფართში შესასვლელი რკინის კარი (საკეტითა და ურდულით) დამონტაჟებული;

თ) შიდა ტიხრები ამოშენებული (გამყიდველთა შეთანხმებული გეგმით), ფართებში ელექტროგაყვანილობა არ იქნება დამონტაჟებული, კედლები არ იქნება გალესილი, იატაკი არ იქნება მოშანდაკებული/მოჭიმული, ფართებში არ იქნება შეყვანილი იქნება ბუნებრივი გაზი და გამყიდველი არ იქნება აღრიცხული იქნება გაზის მომხმარებლად.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ „საშუალო ხარისხის რემონტში“ იგულისხმება ბინის მიყვანა საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში ისე, რომ გამოყენებული იქნება თურქულ-ირანული სარემონტო მასალები (კაფელი, მეტლახი, მილები, აბაზანისა და სამზარეულოს ტექნიკა, პარკეტი/ლამინატი, შპალერი...). რემონტის დეტალებზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

მუხლი 6. ვალდებულებების შესრულების ვადების შესახებ

1. მყიდველი ვალდებულია:

ა) ამ მუხლის მე-4 მუხლში მითითებული ფართები, მიყვანილი შეთანხმებულ მდგომარეობაში, გამყიდველს ფაქტობრივ მფლობელობაში გადასცეს **2018 წლის ოცდათერთმეტ დეკემბრამდე.**

ბ) მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075) მის მიერ აშენებული **შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციაში მიიღოს 2020 წლის ოცდათერთმეტ დეკემბრამდე.**

2. ამ მუხლის წინა პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული თითოეული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველს დააკისროს საურავი 20.00 (ოცი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავი გადახდილ უნდა იქნას ყოველი ათდღიანი პერიოდის დასრულებისთანავე.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული თითოეული ვალდებულების დარღვევის ვადის გადაცილება მიაღწევს ექვს თვეს, გამყიდველს უფლება აქვს, მისაღები ფართების ნაცვლად მოითხოვოს ფართების საბაზრო ღირებულების ანაზღაურება იმ ფასად, რა ფასიც ეღირებოდა იმ მომენტში შეთანხმებულ მდგომარეობამდე მიყვანილი ფართები. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნიდან ოცდაათ კალენდარულ დღეში. ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემდეგ გამყიდველს უფლება აქვს, დაიწყოს იძულებითი აღსრულების პროცესი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი უფლება წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული სამუშაოები შეჩერდა ოთხი თვის მანძილზე.

5. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დაარღვევს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ ვადას, გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველს დააკისროს საურავი 0.075% აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავი გადახდილ უნდა იქნას ყოველი ათდღიანი პერიოდის დასრულებისთანავე.

მუხლი 7. გამყიდველის მიმართ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის წესის შესახებ

1. მყიდველის საქმიანი რეპუტაციის, ფინანსური მდგომარეობისა და დეველოპერული საქმიანობის გამოცდილებიდან გამომდინარე, წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გამყიდველი არ მოითხოვს მის მიმართ შესასრულებელი ვალდებულებების სანივთო ან არასანივთო უზრუნველყოფას (იპოთეკას, ან საბანკო გარანტიას ან სხვაგვარ უზრუნველყოფას).

2. იმ შემთხვევაში, თუ ორი თვით მაინც შეჩერდება შენობა-ნაგებობის (რომლის ნაწილიც უნდა იყოს გამყიდველისათვის გადასაცემი ფართები) მშენებლობის პროცესი და ამით რეალური საფრთხე შეექმნება გამყიდველის მიმართ მყიდველის ვალდებულებების შესრულებას, გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველს მოსთხოვოს ვალდებულებათა შესრულების ჯეროვანი უზრუნველყოფა (იპოთეკა, ან საბანკო გარანტია ან სხვაგვარი უზრუნველყოფა). ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნიდან სამოც კალენდარულ დღეში. ამ ვადის უშედეგოდ დასრულების შემდეგ გამყიდველს უფლება აქვს, მისაღები ფართების ნაცვლად მოითხოვოს ფართების საბაზრო ღირებულების ანაზღაურება იმ ფასად, რა ფასიც ეღირებოდა იმ მომენტში შეთანხმებულ მდგომარეობამდე მიყვანილი ფართები. ეს მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნიდან ოცდაათ კალენდარულ დღეში. იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი დაარღვევს ამ ვადას, გამყიდველს უფლება აქვს, მყიდველს დააკისროს საურავი 0.075% აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. საურავი გადახდილ უნდა იქნას ყოველი ათდღიანი პერიოდის დასრულებისთანავე. ამასთანავე, ამ ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემდეგ გამყიდველს უფლება აქვს, დაიწყოს იძულებითი აღსრულების პროცესი.

მუხლი 8. მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ

1. მიწის ნაკვეთი მყიდველს გადაეცემა წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან სამ კალენდარულ დღეში.

2. მიწის ნაკვეთის გადაცემის მომენტისათვის არ უნდა არსებობდეს მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული დავალიანება გადაცემის დღის მომენტამდე პერიოდისათვის (კომუნალური, ელექტრონერგიის, გაზისა და სხვა მსგავსი მომსახურების საფასური). მიწის ნაკვეთის მყიდველისათვის გადაცემამდე პერიოდისათვის აღმოჩენილი დავალიანებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება გამყიდველს.

3. გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ნასყიდობის საგნის გადაცემის მომენტისათვის ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული რაიმე სახის დავალიანების არარსებობის ფაქტს.

მუხლი 9. მიწის ნაკვეთის ნივთობრივი უნაკლობის შესახებ

1. გამყიდველმა დაადასტურა, რომ ნასყიდობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა: მან გამყიდველის კეთილსინდისიერებით მყიდველს სრულად გააცნო ნასყიდობის საგნის მდგომარეობა.

2. გამყიდველმა განაცხადა, რომ ნასყიდობის საგანს არა აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რაც დაუმალა მყიდველს და რაც შეამცირებს ნასყიდობის საგნის ღირებულებას, ან რაც ხელს შეუშლის ნასყიდობის საგნის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

3. მყიდველმა დაადასტურა, რომ ნასყიდობის საგნის მდგომარეობა მისთვის ცნობილია _ მან მოიწონა ეს მდგომარეობა და თანახმაა, იყიდოს იგი ისეთი სახით, რა სახითაც ნასყიდობის საგანი არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების დღისათვის.

4. მყიდველმა განაცხადა, რომ ნასყიდობის საგანი გამოსადეგია იმ მიზნისათვის, რა მიზნითაც იგი ყიდულობს ნასყიდობის საგანს.

5. მხარეებმა განაცხადეს, რომ ნასყიდობის ფასზე შეთანხმება მოხდა ნასყიდობის საგნის მდგომარეობის გათვალისწინებით და ნასყიდობის საგანს აქვს დათქმული თვისებები.

6. იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება ისეთი ნივთობრივი ნაკლის მქონე, რომელიც გამყიდველმა დაუმალა მყიდველს, გამყიდველი ვალდებული იქნება თავისი ხარჯით გამოასწოროს დაფარული ნაკლი.

7. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის გამო, თუ წინამდებარე აქტის დადების მომენტში გამყიდველმა ნაკლის შესახებ განუცხადა მყიდველს და მყიდველმა იცოდა ამ ნაკლის შესახებ. თუ გამყიდველი ვერ შეასრულებს ამ ვალდებულებას, მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა და ავანსად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება. ავანსის უკან დაბრუნების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს დაუბრუნოს მიწის ნაკვეთი.

8. მყიდველი კარგავს ნივთობრივი ნაკლის გამო თავის უფლებას იმ შემთხვევაშიც, როცა გონივრულ ვადაში ნაკლის აღმოჩენიდან, ან იმ დროიდან, როცა უნდა აღმოეჩინა ნაკლი, გამყიდველს არ აცნობებს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

მუხლი 10. ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ

1. ნასყიდობის საგანი მყიდველის საკუთრებაში გადადის წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე საჯარო რეესტრში მყიდველის მესაკუთრედ რეგისტრაციის მომენტიდან.

2. იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ვერ მოხდება არა მყიდველის ბრალით (იმ მიზეზების გამო, რაც არ არის დაკავშირებული მყიდველთან), მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა, ავანსად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება.

3. იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანზე დარეგისტრირდება ვალდებულება, ან შეზღუდვა, ან აკრძალვა, რომელიც არ არის დაკავშირებული მყიდველთან, მყიდველს უფლება აქვს, მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა, ავანსად გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და მიყენებული ზიანის/ზარალის ანაზღაურება. ავანსის უკან დაბრუნების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს დაუბრუნოს მიწის ნაკვეთი.

მუხლი 12. იპოთეკის გაუქმებისა და ვალდებულებების რეგისტრაციის შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან უქმდება მყიდველის სასარგებლოდ წინარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა უძრავი ქონებისადმი (საკადასტრო კოდი: 01.11.12.018.075).

2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული იპოთეკა საჯარო რეესტრიდან ამოიშლება ნასყიდობის საგანზე მყიდველის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.

3. ამ მუხლის წინა პუნქტებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის საგანზე ვერ დარეგისტრირდება საკუთრების უფლება, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული იპოთეკა ინარჩუნებს ძალმოსილებას.

4. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებები, რომელიც უნდა შეასრულოს მყიდველმა გამყიდველის მიმართ, დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში და ეს ვალდებულებები ჩაანაცვლებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც რეგისტრირებულია უძრავი ქონების წინარე ნასყიდობისა და იპოთეკის დადგენის შესახებ სანოტარო აქტის (დამოწმებული 18.05.2015 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №150499671) საფუძველზე.

მუხლი 13. ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულების შესახებ

1. ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე - რომელიმე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში **ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნა შესრულდება** ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

აღსრულება მიექცევა მოვალის მთელ/ნებისმიერ ქონებაზე, მათ შორის, იპოთეკის საგანზე. ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაკმაყოფილებას ექვემდებარება კრედიტორის ყველა ფულადი მოთხოვნა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე (მათ შორის, სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და აღსრულების ყველა ხარჯი, საარბიტრაჟო/სასამართლო ხარჯები...).

2. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ ნოტარიუსისაგან მიიღეს ჯეროვანი განმარტება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის სამართლებრივი ინსტიტუტის (მისი არსისა და ძირითადი პრინციპების) შესახებ და მათთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი შეცვლის სასამართლოს სააღსრულებო ფურცელს; შესაბამისად, უფლებამოსილ მხარეს უფლება ექნება, სასამართლოსადმი მიმართვისა და სასამართლო საქმისწარმოების გარეშე მიმართოს ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით, მიიღოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი და მეორე მხარის მიმართ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა ვალდებულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე, ხოლო სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას.

3. ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს უფლებამოსილი პირის

წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა დაერთოს სანოტარო დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც განმცხადებელი ითხოვს სააღსრულებო ფურცლის გაცემას. განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ უნდა შეიცავდეს:

ა) ნოტარიუსის ვინაობას, რომელსაც ის მიმართავს განცხადებით;

ბ) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების ვინაობას/სახელწოდებებს;

გ) მონაცემებს შეუსრულებელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების მოცულობის შესახებ;

დ) მითითებას იმის შესახებ, რომ შეუსრულებელი მოთხოვნა, რომლის აღსასრულებლადაც უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მიერ რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მან ასეთი ვალდებულება უკვე შეასრულა;

ე) განმცხადებლის ხელმოწერას.

მუხლი 14. დავის გადაწყვეტის წესის შესახებ

1. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

მუხლი 15. შეტყობინების წესის შესახებ

1. მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობით.

2. შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი გაგზავნილია დაზღვეული წერილით ან კურიერის მეშვეობით სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით

3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას, ან შეუძლებელი იქნება შეტყობინების გადაცემა ადრესატის ადგილზე პერმანენტულად რამდენიმე დღის განმავლობაში არყოფნის გამო.

მუხლი 16. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესის შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება წერილობითი ფორმით და იგი ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმების შემდეგ.

მუხლი 17. ფორს-მაჟორის შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, ან მათი დაგვიანებით შესრულება ჩაითვლება საპატიოდ იმ მოცულობითა და ხანგრძლივობით, რომლითაც აღნიშნული შეუსრულებლობა, ან დაგვიანება გამოწვეული, ან განპირობებული იქნება ფორს-მაჟორით, რომელიც გულისხმობს შემდეგი გარემოებების არსებობას:

ა) დაუძლეველი ძალა, გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომები, მათ შორის მასობრივი არეულობა;

ბ) სტიქიური უბედურებები, სხვა დაუძლეველი ძალა.

2. ფორს-მაჟორად და პასუხისმგებლობის/ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობად არ განიხილება ისეთი გარემოებები, რომლებიც გამოწვეულია მხარის არამართლზომიერი ქმედებებით, დაუდევრობით, წინდაუხედაობითა ან/და გულგრილობით, ან ცუდი მენეჯმენტით.

3. ნებისმიერი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომისას მხარემ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა და გამოიყენოს სრული ძალისხმევა, რათა შეაჩეროს ფორს-მაჟორული გარემოების ზემოქმედება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და აღმოფხვრას, ან შეამციროს ამგვარი გარემოებით გამოწვეული შედეგები.

4. ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების განმავლობაში ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გადადება ხდება ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულებამდე.

5. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოებები გაგრძელდება მათი წარმოშობიდან სამ თვეზე მეტი ხნის მანძილზე, მხარეები დამატებით შეთანხმდებიან სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგების წესზე.

მუხლი 18. ხელშეკრულების ძალმოსილების, ენისა და ეგზემპლარების შესახებ

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.

2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალმოსილია ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

3. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარს თან ერთვის დანართი 3 დოკუმენტი:

ა) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაცია №882015372742 - 03/07/2015 14:49:51, მომზადების თარიღი: 03/07/2015 16:36:37, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.11.12.018.075 (საკადასტრო გეგმა, მომზადების თარიღი: 03.07.2015 წ.).

ბ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15060256, 07/04/2015 17:05:22).

გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ფენიქსის“ შესახებ (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15044090, 26/02/2015 18:06:36).

4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 5 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.“

დანართი:

ჩემს სანოტარო არქივში ინახება შემდეგი დოკუმენტები:

1) სანოტარო აქტი შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის“ პარტნიორთა კრების შესახებ დამოწმებული 18.05.2015 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №150488696);

2) შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრის“ წესდება (დამოწმებული 04.08.2004 წ. ნოტარიუს ნ. მასხულიას მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №1-6822) (თან ერთვის №5 დანართს);

3) შპს „ფენიქსის“ პარტნიორთა კრების ოქმი (18.05.2015 წ.) _ ხელმოწერების ნამდვილობა დამოწმებული 18.05.2015 წ. ნოტარიუს ოთარ ზოიძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №150499252) (თან ერთვის №5 დანართს);

4) სანოტარო აქტი _ შპს „ფენიქსის“ წესდება (დამოწმებული 21.01.2010 წ. ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №100043204) (თან ერთვის №5 დანართს);

5) წინარე ხელშეკრულება.

სანოტარო მომსახურების ხარჯები (თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011 წ.) 23, 39 მუხლებისა) (გარიგების ღირებულება: 2265223.00 ლარი).

ა) ნოტარიუსის საზღაური: 2295.11 ლარი + 15.00 ლარი (იპოთეკის გაუქმებისთვის);

ბ) სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური: 2,0 ლარი;

სულ: 2312.11 ლარი.

წინამდებარე აქტი მე, ნოტარიუსმა, წავუკითხე მხარეებს. მხარეებმა წაიკითხეს აქტი, მოიწონეს და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

ა) გამყიდველი:
შპს „საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი“
(დირექტორი **ჯემალ წურწუმია**)

ბ) მყიდველი:
შპს „ფენიქსი“
(დირექტორი **ვახტანგ გამრეკელი**)

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე

მიწის (უძრაობის ქონების) საკადასტრო კოდი N 01.11.12.018.075

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882015372742 - 03/07/2015 14:49:51

მომზადების თარიღი
03/07/2015 16:36:37

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	11	12	018/075

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ვეკუა , N 1 , (ნაკვეთი 18/075)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 8372.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 01.11.12.018.028;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010794620 , თარიღი 20/09/2010 12:39:21
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/10/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება Nლეგ-555 , დამოწმების თარიღი:16/09/2010 , თბილისის არქიტექტურის სამსახური
- იპოთეკია ნასყიდობის ერთობლივი ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N100706171, დამოწმების თარიღი16/07/2010, ნოტარიუსი მ. გვაზავა

მესაკუთრეები:
შპს "საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი". , ID ნომერი:205037645

მესაკუთრე: აღწერა:
შპს "საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი".

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015268778 თარიღი 18/05/2015 12:29:10

იპოთეკარი: შპს "ფენიქსი " 404852931;
მესაკუთრე: შპს "საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი". 205037645;
საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი: 8372.00 კვ.მ.;

სანოტარო აქტი უძრავი ქონების წინარე ნასყიდობისა და იპოთეკის დადგენის შესახებ, რეესტრის ნომერი N150499671, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ო.ზოიძე ,

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/05/2015

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015268778 თარიღი 18/05/2015 12:29:10	გამყიდველი: შპს "საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი". 205037645; მყიდველი: შპს "ფენიქსი " 404852931; საგანი:მიწის დაზუსტებული ფართობი: 8372.00 კვ.მ. ; მხარეების ვალდებულნი არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, მათ შორის ხელშეკრულების 11-ე მუხლის მე-2 პუნქტი; ;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/05/2015	სანოტარო აქტი უძრავი ქონების წინარე ნასყიდობისა და იპოთეკის დადგენის შესახებ, რეესტრის ნომერი N150499671, დამოწმების თარიღი18/05/2015, ნოტარიუსი ო.ბოიძე,

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას სამემკვიდრეო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს აუტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

ის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.11.12.018.075*
ცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882015372742
ის ნაკვეთის ფართობი: *8372* კვ.მ.
ნიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
ცხადების თარიღი 03.07.15



შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
ვალდებულება
მშენებარე ნაგებობა
ხაზობრივი ნაგებობა
მიწისქვეშა ნაგებობა
0.00
0.00
UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15044090, 26/02/2015 18:06:36

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ფენიქსი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404852931
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	30/01/2010
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ნუცუბიძის, ქუჩა N 193, ბინა N 6

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: manoni7070@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01001024798, ვახტანგ გამრეკელი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01001009230, მიხეილ შეყრილაძე	75.00000000%	
01019088902, გეორგი შარიქაძე	25.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01010004790, ოთარ ხარჩილავა	78.00000000%	
222934458, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება რაჭული ღვინო	1.00000000%	
222934350, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ოქროს ხვანჭკარა	1.00000000%	
65002005500, ჯემალ წურწუმია	20.00000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102012030257 18/02/2012 02:51:34 სააქციო საზოგადოება სს ოკამი ს/ნ 232539125**

  საგანი: **მთელი ქონება (აღნიშნული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა ვრცელდება ოთარ ხარჩილავას (პ/ნ 01010004790)1% წილზე)**

  საფუძველი: **შეტყობინება, N052188, 17.02.2012, კასპის მუნიციპალიტეტი**
- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102012040833 21/02/2012 12:29:03 სააქციო საზ��გადოება სს ოკამი ს/ნ 232539125**

  საგანი: **მთელი ქონება (აღნიშნული საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა ვრცელდება ოთარ ხარჩილავას (პ/ნ 01010004790)1% წილზე)**

  საფუძველი: **შეტყობინება, N052328, 20.02.2012, კასპის მუნიციპალიტეტი**
- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**102014190428 17/07/2014 13:17:48 შ\პ\ს შპს რაჭული ღვინო ს/ნ 222934458**

საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**

საფუძველი: **შეტყობინება, N032360, 17.07.2014, შემოსავლების სამსახური**

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12000798 08/05/2012 14:11:29**

  კრედიტორი : სს'თიბისი ბანკი' (საქართველო) 204854595

  მესაკუთრე : ხარჩილავა ოთარ (საქართველო) 01010004790

  საგანი: **არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : 76%-იანი წილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, საფირმო სახელწოდება: შპს საქართველო-ბელორუსიის კულტურულ-სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი, საიდენტიფიკაციო კოდი: 205037645.**

  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება, 12312335712, ნოტარიუსი მზია არსენიშვილი, 120471761, 07.05.2012**

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge